

საწარმოს რეზიდენტობის განსაზღვრა
საერთაშორისო საგადასახადო სამართალში

თამარ კურდღელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნარმანია – სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:

თამარ კურდღელაშვილი

თარიღი: 06/07/2015

აბსტრაქტი

საერთაშორისო საგადასახადო სამართალი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგს. მისი მნიშვნელოვანი ნაწილია საწარმოების რეზიდენტობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც საფუძვლად უდევს მათი საქმიანობის საგადასახადო დაბეგვრას შესაბამისი ქვეყნის სასარგებლოდ. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და მისი ანალიზი, კერძოდ მოდელური კონვენციები, ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ და სახელმწიფოებში მოქმედი პრაქტიკა საწარმოს რეზიდენტობის დადგენასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საკითხის თეორიულ ანალიზს, რა კრიტერიუმები გამოიყენება ამისთვის და როგორია სახელმწიფოების პრაქტიკა საწარმოების რეზიდენტობის განსაზღვრის პროცესში. განხილულია რეზიდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებული თეორიული საფუძვლები, სადაც ზოგადად ჩამოყალიბებულია საერთაშორისო საგადასახადო სამართლის პრინციპები და ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც საწარმოების რეზიდენტობა განისაზღვრება. აგრეთვე საუბარია გადასახადების თავიდან არიდების კანონიერ და არაკანონიერ მეთოდებზე.

ნაშრომის მიზანია დადგინდეს რეზიდენტობის განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული გამოყენება საერთაშორისო საგადასახადო დაბეგვრაში, მსოფლიოში გამეფებული არასწორი სტანდარტების გამოვლენა და მათი დროული და ეფექტური აღმოფხვრა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო საგადასახადო სამართალი, საგადასახადო სამართლის პრინციპები, მოდელური კონვენციები, ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, საწარმო, რეზიდენტობა, გადასახადებისგან თავის არიდება;

Abstract

International tax law is one of the most rapidly developing sectors. Enterprise related issues are its important part as the basis of their activity taxation in favor of a relevant country. The subject of Master's thesis is to research an international tax system structure and its analysis, namely the model conventions, treaties about the prevention of double taxation and the established practice in states related to the enterprise residency determination.

This study represents a theoretical analysis of the issue; what are the criterion used for it and how is the practice of states in the process of the enterprise residence determination. The paper discusses the theoretical fundamentals connected with determining residence, where there are generally set out the principles of the international tax law, and those criterion, according to which residency of enterprises is determined.

It also discusses the legal and illegal methods of tax evasion. The paper aims to determine the theoretical and practical application of determining residency in international taxation, discovering the wrong standards having actually being in the whole world and their elimination timely and effectively .

Key words: international tax law, tax law principles, model conventions, agreements on avoidance of double taxation, enterprise, residency, tax evasion.